ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 228

ქალაქი ქუთაისი 25 სექტემბერი 2019 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 18 სექტემბრის №01/20541 წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, გიორგი ჭიღვარიას, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, კერძოდ, მაზუთით გაჟღენთილი 10 (ათი) ერთეული ხის კოჭის (20X28X2.80) საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ მიერ, საკუთრებაში გადაცემული წინამდებარე განკარგულების პირველ მუხლში ხსენებული მოძრავი ქონება, გამოყენებულ იქნეს ქალაქ ქუთაისის კონსტანტინე ლიპარტელიანის სახელობის №21 ნიჩბოსნობის სპორტული სკოლისათვის ტივტივას მოსაწყობად.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, გიორგი ჭიღვარიამ, უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დოკუმენტაციის გაფორმება.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია